

# ბუნდუჭიძისათვის მოსახლეობა

## საცდელი თაბვია

ღარის გამყარებას შესაძლოა კოლაფსი მოჰყვეს,  
ინფლაცია კი გაიზრდება

გაზეთი “ახალი თაობა” – 6 ივნისი, № 154, 2008

ინტერვიუ ეკონომიკის ყოფილ მინისტრთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, ხელისუფლება აცხადებს, რომ ეკონომიკა ვითარდება ამავედროულად მოსახლეობის სოციალ–ეკონომიკური მდგომარეობა უარდება, შეგიძლიათ აგვიხნათ მარტივად თუ რატომ არია ასეთი შეუსაბამობა?

– დავიწყეთ იმით, რომ ეკონომიკურ აღმავლობას მართლაც აქვს ადგილი, მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია, რომელსაც აქვეყნებს მთავრობა, აღამაზებს ამ სიტუაციას, ანუ აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდა არის საკმაოდ მაღალი. ზრდა მართლაც არის, მაგრამ არა ისეთი, როგორც ეს ორნიშნა რიცხვით არის გამოხატული. სტატისტიკა აღამაზებს ინფლაციის მაჩვენებელსაც, მართალია გამოქვეყნებული მაჩვენებელიც საკაოდ მაღალია და წლიურ 12%-ზე მეტია, მაგრამ სინამდვილეში ინფლაცია სულ ცოტა 1/3 ით უფრო მეტია.

– ანუ სტატისტიკის დეპარტამენტს შეცდომაში შევყავართ?

– არა, სტატისტიკის დეპარტამენტს კი არა, იმათ შევყავართ შეცდომაში ვინც აკონტროლებს სტატისტიკის დეპარტამენტს. არ შეიძლება მთავრობა, რომელიც არის ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელი და გამტარებელი, იმავედროულად იყოს თავისივე საქმიანობის შემფასებელი. აქ ინტერესთა კონფლიქტია და ვინც არ უნდა იყოს პრემიერ მინისტრი თუ ეკონომიკური განვითარების მინისტრი, სახელს და გვარს არა აქვს მნიშვნელობა, ყოველთვის დაინტერესებული იქნება სტატისტიკის

დეპარტამენტის მუშაობა გამოიყენოს თავისი საქმიანობის პოზიტიური შეფასებისთვის. მდგომარეობა ქვეყანაში არცთუ ისე სახარბილოა, ამას თავად მთავრობაც და მმართველი პარტიაც აღიარებს. თავის წინასაარჩევნო ლოზუნგად, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნების დროს წარმოჩენილი იყო სლოგანი "საქართველო სიღარიბის გარეშე", რითაც ხელისუფლებამ აღიარა, რომ ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემა არის სიღარიბე.

**- თქვენც ამბობთ, რომ ეკონომიკის ზრდა არის, მიუხედავად შელამაზებული სტატისტიკისა, რატომღა გართულდა ხალხის ცხოვრება?**

- სწორედ იმიტომ, რომ ინფლაცია არის მაღალი. 1 ლარის მსყიდველობითი უნარი გასულ წლებთან შედარებით შემცირებულია. მართალია ხელისუფლებამ მოახერხა პენსიების გაზრდა, როცა “ვარდების რევოლუციამდე” ხელფასები და პენსიები წლობითაც გვიანდებოდა. დღეს ეს პრობლემა დაძლეულია და ასე თუ ისე პენსიები იზრდება, მაგრამ იმავედროულად 1 ლარის მსყიდველობითი უნარი არის დაცემული, იმიტომ რომ ინფლაცია არის მაღალი. ამას ორი მიზეზი აქვს, ერთი საქართველოზე არ არის დამოკიდებული, ნავთობი, რომელიც ვიცით რომ მსოფლიოში ყოველდღე ძვირდება ხოლო საქართველო არის მნიშვნელოვან წილად ნავთობპროდუქტების იმპორტიორი, გვინდა თუ არა, ეს ფასები აისახება ქართულ რეალობაზე. ამის გარდა არის სხვა ობიექტური ფაქტორიც, რომელიც ცნობილია "ჰოლანდიური დაავადების" სახელით და რომლის შესახებ მე არაერთხელ მისაუბრია.

"ჰოლანდიური დაავადება" არის რაღაც მიზეზის გამო ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოსვლა. დაავადება ჰოლანდიური მას შემდეგ დაერქვა რაც გასული საუკუნის სამოციან წლებში აღმოჩნდა, რომ ჰოლანდიას ქონდა ბუნებრივი აირის დიდი დეპოზიტი, დაიწყო დოლრის დიდი რაოდენობით შემოსვლა, რამაც გამოიწვია გულდენის გამყარება, რის შედეგადაც გაზის გარდა სხვა პროდუქტების ექსპორტს დაეკარგა მომგებიანობა, ექსპორტიორები ვეღარ ასწრებდნენ გატანილი პროდუქციით მიღებული ვალუტის უკან არაწამებებიან კონვერტაციას და გულდენის გამყარება იწვევდა ბუნებრივ დანაკარგებს. როცა ვალუტა მყარდება ექსპორტიორები კარგავენ, იმპორტიორები იგებენ. ეს კი საზიანოა ქვეყნისთვის. საქართველოში "ჰოლანდიური დაავადება" ჩამოყალიბდა

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ, როცა ლარმა გამყარება დაიწყო. დღეს საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ძირითადი წყაროა ინვესტიციები, როცა ინვესტორები საქართველოში ყიდულობენ საკუთრებას, მათ უნდა გადაიხადონ თანხა ლარებში. შესაბამისად ჩნდება მოთხოვნა ლარზე, ამას ემატება უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეებისგან გამოგზავნილი ფული, რომლებიც 2005–06 წლებთან შედარებით გაზრდილია ხუთჯერ. თანხების 98% კი დოლარში შემოდის. ბუნებრივია ამ ფულს აქ ახურდავებენ ლარებში, რათა იარსებონ, ანუ ჩნდება დამატებითი მოთხოვნა ლარზე.

– ამ ტემპებით ქვეყანა შეიძლება მალე კრახამდე მივიდეს?

– ეკონომიკური კოლაფსი შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის მყისიერმა გამყარებამ. თუ შემოვა დიდი ოდენობით ფული და ამაში ეროვნული ბანკი არ ჩაერევა, ეროვნული ვალუტა შეიძლება ისე გამყარდეს, რომ საერთოდ შეაჩეროს ყოველგვარი მოძრაობა ექსპორტის მიმართულებით. და ისეთი მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ეს იყოს კატასტროფა. ამიტომაც ეროვნული ბანკი ყიდულობს უცხოეთიდან შემოსულ ვალუტას და ყიდის ლარს; ერთის მხრივ, ის ზრდის თავის სავალუტო რეზერვებს, მეორეს მხრივ კი – აფერხებს ლარის მყისიერ გამყარებას. მაგრამ იყიდა რა ლარით დოლარი, ლარის მიმოქცევა გაზარდა ანუ ხელი შეუწყო ინფლაციას.

– ამ დახურული წრიდან რა გამოსავალია?

– ასეთი ტიპის პრობლემა სხვა ქვეყნებსაც აქვთ და ისინი მას ასე თუ ისე თავს ართმევენ. იგივე პრობლემაა ჩვენ მეზობელ აზერბაიჯანში, ნორვეგია კლასიკური ქვეყანაა "ჰოლანდიური დაავადების", რასაც ის საკმაოდ წარმატებით ართმევს ამას თავს. ამ დროს ცენტრალური ბანკები ცდილობენ გამოუშვან თავიანთი ფასიანი ქაღალდები ბაზარზე და ამით ამოიღონ ფულის მასა ბრუნვიდან. ამას აკეთებს კიდევ ეროვნული ბანკი, მაგრამ მან თანდათან უნდა გაზარდოს პროცენტი, რათა კიდევ უფრო მიმზიდველი გახადოს კომერციული ბანკებისთვის ამ ფასიანი ქაღალდების შესყიდვა. მაგრამ ეს სრულად ვერ დაარეგულირებს ინფლაციას. აქამდე ეროვნული ბანკი ცდილობდა “არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური”, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებულ მოქმედებას მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის.

– მთავრობის პოლიტიკა რა უნდა იყოს?

– მთავრობამ მინიმალურად უნდა გაიზარდოს სოციალური ხარჯები. არის ხარჯები, რომელზეც მთავრობა უარს ვერ იტყვის, ადამიანს შიმშილისთვის ხომ არ გაწირავ? როცა მთავრობა აცხადებს, რომ პენსია უნდა გაიზარდოს, ის უნდა გაიზარდოს, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს ინფლაციის ხელოვნურად ხელშემწყობი პროგრამები, მაგალითად ფსევდო დასაქმების ეროვნული პროგრამა, რომელიც სინამდვილეში არავის არ ასაქმებდა, თუ ასაქმებდა, ერთეულებს. ხოლო მიმოქცევაში გადიოდა მილიონობით ლარი: როცა უმუშევარი იღებდა ამ თანხას, ის მას ბანკში კი არ ინახავდა, ხარჯავდა, რითაც ინფლაციას უწყობდა ხელს. ამ შემთხვევაში საუკეთესო გზაა სტაბილიზაციის ფონდში ხვდებოდეს პრივატიზაციიდან შემოსული ფული და ის გადაიოდოს მომავლისთვის.

– მთავრობისგან კი მხოლოდ ის შეიმჩნევა, რომ ინფლაციას ტოტალური შემცირებებით ებრძვის, სახელმწიფო სტრუქტურებში ტოტალური შემცირებებია დაწყებული.

– კადრების შემცირება არ უნდა ხდებოდეს კადრების შემცირებისთვის. მართლაც არ უნდა არსებობდეს ხელოვნურად გაბერილი აპარატი, თუმცა არც მცირე ზომის სახელმწიფო აპარატი ნიშნავს ეფექტიანს. მაგალითს ისევ სტატისტიკის დეპარტამენტიდან მოვიყვან, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ არის საჭირო დეპარტამენტის ფილიალები, რის შემდეგც დეპარტამენტს სერიოზულად გაურთულდა ინფორმაციის მოპოვება. ის სამოთხე კაციანი აპარატები, რომლებიც ყავდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, უბრალოდ აღარ ყავს. და როცა დეპარტამენტს სჭიდება სტატისტიკური მონაცემები, მაგალითად, განათლების შესახებ, იცით საიდან იღებს ინფორმაციას? განათლების სამინისტროდან, რაც ასევე ინტერესთა კონფლიქტია. სტატისტიკის დეპარტამენტის შემცირებას უკვე მოჰყვა არაობიექტური ინფორმაცია. მე მჯერა, რომ ხვალ სტატისტიკის დეპარტამენტი თავიდან გვექნება შესაქმნელი, ისევე როგორც ანტიმონოპოლიური სამსახური. ამის შესახებ წერენ ევროკავშირის წარმომადგენლებიც.

– რატომ გააუქმეს ანტიმონოპოლიური?

– ჩათვალეს, რომ საქართველო არის მცირე ზომის ქვეყანა, რომელსაც აქვს მცირე ზომის ღია ეკონომიკა, კონკურენცია მიდის საერთაშორისო დონეზე და ანტიმონოპოლიურში არანაირი საჭიროება არ არის

– თუ არ ვცდები, ევროკავშირს ქონდა კიდევ 2 მოთხოვნა, შრომის კოდექსის გაუმჯობესება და პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დღევანდელი შრომის კოდექსი საერთოდ არ არის ორიენტირებული მშრომელებზე...

– რაც შეეხება შრომის კოდექსს, ეს ყველაფერი დაკავშირებულია ყველასთვის ცნობილ კახა ბენდუქიძესთან. კახა ბენდუქიძე არის ბიოლოგი, ის დისერტაციასაც კი წერდა ამ დარგში და როგორც მოგეხსენებათ, ბიოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ცდის პრაქტიკა. ცდას ატარებენ თაგვებზე და თუ თაგვი ცდას შეეწირება ესეც წინასწარ არის გათვლილი. ეს შრომის კოდექსი აძევს სრულ უფლებებს დამქირავებელს და არ აძლევს არანაირ უფლებას დაქირავებულს. და ბენუქიძემ ჩათვალია, რომ დაქირავებულის უფლებობა მიმზიდველს გახდის საქართველოს უცხოური ინვესტორებისთვის. რა თქმა უნდა ლოგიკა არის ამაში.

– ე.გ. დაეზაროთ ჩვენი, რათა შემოვიტყუოთ უცხოელი?

– შეიძლება შემოვიდეს, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ ჩვენი დაქირავებულები იქნებიან იმ თაგვის როლში, რომელზეც ცდები ტარდება.

– ბენდუქიძემ ქვეყანაზე ექსპერიმენტი ჩაატარა?

– ექსპერიმენტი გრძელდება. მისთვის, მილიონერი კაცისთვის მოსახლეობა არის საექსპერიმენტო თაგვი, რომელზეც ბიოლოგები ექსპერიმენტებს ატარებენ. ეს მისაღებია ბიოლოგიაში, მაგრამ სოციალურ სფეროში, როცა საქმე ადამიანებს ეხება, ეს არის ამორალური.

– ვინ არის დღეს ბენუქიძე?

– ის მთავრობაში არის ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა და მას ფაქტიურად უჭირავს "ჩრდილოვანი პრემიერის" ადგილი.

– ოფიციალურად კი ის კანცელარიის მმართველია...

– თუმცა ამავედროულად, მისი რეზოლუციის გარეშე მთავრობის სხდომაზე დოკუმენტი ვერ რჩება. მამრადისგან განსხვავებით, მას შინაარსობრივი ცვლილებებიც შეაქვს დოკუმენტებში. მთავარი ბენდუქიძე კი არა არის, არამედ ისაა, ვისაც ის ყავს.

– უცნაური ის არის, რომ 2004 წლის ივნისიდან დღემდე ბენუქიძის მთელი მოღვაწეობა ინვესტორების მოზიდვის მიმართულებით რატომღაც იფარგლებოდა რუსი ინვესტორებით, ხოლო რუსეთი იფარგლებოდა მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისადმი ინტერესით.

– ბენდუქიძეს არც არსდროს დაუმაღავს, რომ ის რუსული ინტერესების ხიდია საქართველოში.

– მაგრამ ეს ხომ ალოგიკურია, როცა პრეზიდენტის რიტორიკა აშკარად ანტირუსულია?

– ანტირუსულია რიტორიკა პოლიტიკურ საკითხებში და არა ეკონომიკურში. დღევანდელ ვითარებაშიც კი ეკონომიკური განვითარების მინისტრი ქალბატონი შარაშიძე აქტიურად იწვევდა რუს ინვესტორებს.

– ინვესტიციებში რუსეთის ადგილი რატომ არ უკავია ჩვენს მოკავშირე აშშ-ს?

– ინვესტიციების შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის ობიექტური და ვერ გეტყვით. თუმცა ამერიკაში არ არის მიღებული, რომ მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება და კომპანიამ შეასრულოს დაგალება, ამერიკას არ ეავს "გაზპრომი". ამერიკაში კერძო ბიზნესია, სადაც ბიზნესმენები თავად წყვეტენ, სად შევიდნენ და სად არა. ხოლო რუსული მსხვილი კაპიტალი კი კრემლთანაა ასოცირებული.

– კარგით, ისევ ინფლაციას დაგუბრუნდეთ, გაიზრდება თუ არა ინფლაცია შემოდგომისთვის?

– პრემიერმა გურგენიძემ თქვა რომ გაიზრდებაო, თუმცა დაამატა, რომ ეს განპირობებული იქნება მხოლოდ საგარეო ფაქტორებით, რითაც მან მხოლოდ ნახევარი სიმართლე თქვა. რა თქმა უნდა გაიზრდება ნავთობის ფასი და შესაბამისად ინფლაციაც, მაგრამ ამის გარდა ქვეყანა კვლავ დაავადებულია "პოლანდიური დაავადებით".

**გიორგი უბილაური**